პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 24 (18266) შაბათი, 30 იანვარი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

29 იანვარს საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობამ მუშაობა განაგრძო.

პლენარული სხდომის დაწყებამდე ყრილობის დელეგატებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის მ. ა. სუსლოვის ხსოვნას.

შემდეგ განახლდა კამათი საქართველოს პროფსაბჭოსა და მისი სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებების გამო. კამათში მონაწილეობდნენ საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, ნ. ა. ლაკია, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ტ. რიგვავა, მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს" მექანიზატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ც. ვ. თალაკვაძე.

ყრილობის მიერ პროფკავშირული მოძრაობის აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით ორგანიზებულ სექციათა მუშაობის შედეგები დამსწრეთ გააცნო საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ.

საანგარიშო მოხსენებების გამო გაგრძელებულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. მ. გიორგაძე, მესტიის რაიონული საავადმყოფოს ექიმი, სოციალისტური შრომის გმირი ლ. დ. ნიჟარაძე, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორი ე. ნ. გუგუშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ნ. ორჯონიკიძე.

ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს მიესალმნენ რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

(დასასრული მე-2 გვ.)

სურათზე: სამგლოვიარო მიტინგი წითელ მოედანზე. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვის დაკრძალვა

სამგლოვიარო მიტინგი წითელ მოედანზე

29 იანვარს საბჭოთა ხალხი მწუხარებით გამოეთხოვა მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვს — კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს. [illegible]

სურათზე: სამგლოვიარო პროცესია კრემლის გალავნისკენ მიემართება.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ამხანაგებო! [illegible]

ვ. ვ. გრიშინის სიტყვა

ამხანაგებო!

ჩვენი პარტია, ქვეყნის მშრომელები დიდი მწუხარებით ეთხოვებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვს. [illegible]

პ. ნ. ფედოსეევის სიტყვა

ამხანაგებო! [illegible]

(დასასრული მე-2 გვ.)

მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვის დაკრძალვა

(დასასრული)

დაუფლებოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ სიმდიდრეს, ღრმად შეესწავლათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტები, ლ. ი. ბრეჟნევის შრომები, რომლებშიც განზოგადებულია ახალი საზოგადოების მშენებლობის უდიდესი ისტორიული გამოცდილება, გაშუქებულია თანამედროვე მსოფლიო განვითარების კანონზომიერებანი და პერსპექტივები. თვითონ, როგორც კომუნისტური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი, ამხანაგი სუსლოვი დიდ ყურადღებასა და დროს უთმობდა იდეოლოგიურ მუშაობას. თავის გამოსვლებსა და სტატიებში იგი აქტიურად ამუშავებდა და საფუძვლიანად აშუქებდა ახალი ადამიანის — კომუნიზმის აქტიური მშენებლის კომუნისტური აღზრდისა და ჩამოყალიბების პრობლემებს.

უღრმესი პატივისცემითა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მიხეილ ანდრიას ძე საბჭოთა მეცნიერებს შორის. მას მინიჭებული ჰქონდა კარლ მარქსის სახელობის ოქროს მედალი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდო საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში თვალსაჩინო მიღწევებისათვის.

საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები დიდად აფასებენ მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვის ზრუნვას მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული პროგრესისათვის.

მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვის ნათელი და კეთილი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანის გულში.

სიტყვას ამბობს ულიანოვსკის ოლქის პავლოვკის რაიონის კოლმეურნეობა „ილიჩის გზის" თავმჯდომარე ვ. ა. ზიმნევი.

ვ. ა. ზიმნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდად დასწყვიტა გული ულიანოვსკის ოლქის კომუნისტებს, ყველა მშრომელს ჩვენი ძვირფასი თანამემამულის — მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვის გარდაცვალების ამბავმა. ძნელია იმის შეგნება, რომ აღარ ძგერს მგზნებარე ბოლშევიკ-ლენინელის, დიდბუნებოვანი, მაღალი ზნეობრივი თვისებების ადამიანის გული.

ამ გამოთხოვების ჟამს ჩვენ გონების თვალს ვავლებთ მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვის ცხოვრების სახელოვან გზას. ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებული, იგი სიჭაბუკის წლებიდანვე ჩაება სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლაში. მიხეილ ანდრიას ძე იყო მშობლიურ სოფელში პირველი კომკავშირული უჯრედის შემქმნელი და სული და გული, აქტიურად მონაწილეობდა ღარიბთა კომიტეტისა და სასოფლო საბჭოს მუშაობაში. უკვე იმ წლებში იშვა მასში ჩვენი პარტიის მებრძოლის მაღალი თვისებები. ლენინური პარტიისა და ხალხის სამსახურის საქმეს ახმარდა ძალებს, ცოდნასა და გამოცდილებას ყველა უბანზე, რომლებსაც მას ანდობდნენ. დიდი მოუცლელობის მიუხედავად იგი მუდამ პოულობდა დროს ჰქონოდა მჭიდრო კავშირი მშობლიურ მხარესთან, მუდამ იჩენდა ცხოველ ინტერესს მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისადმი, ხშირად ჩამოდიოდა ვოლგისპირეთში. წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს ხსოვნაში თანასოფლელებთან მიხეილ ანდრიას ძის პირადმა შეხვედრებმა, მისმა გულთბილმა, გულითადმა საუბრებმა კოლმეურნეებთან, ცხოველმა ინტერესმა მათი ცხოვრებისა და მუშაობისადმი. მისი კეთილი რჩევა-დარიგებანი გვეხმარებოდა უფრო წარმატებით გვემუშავა. წლითიწლობით მტკიცდება ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკა, უმჯობესდება სოფლის მშრომელთა კეთილდღეობა. ძირეულად იცვალა სახე სოფელ შახოვსკოემ, სადაც დაიბადა მიხეილ ანდრიას ძე. აქ აშენდა ახალი კეთილმოწყობილი სახლები, კულტურის სახლი, სასოფლო ბიბლიოთეკა, საყოფაცხოვრებო სახლი და სავაჭრო ცენტრი.

მიხეილ ანდრიას ძე უშუალოდ მონაწილეობდა ახალი სოფლის საშუალო სკოლის გახსნაში. მან ჩვენს ბიბლიოთეკას ბევრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა აჩუქა.

ოლქის კომუნისტები, მშრომელები მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვს იცნობდნენ როგორც გამოჩენილ ორგანიზატორს, ლენინის დიადი საქმისათვის აქტიურ მებრძოლს. ჩვენ ვიცით, რომ მისი მრავალმხრივი ნიჭი განსაკუთრებით მკაფიოდ და ნაყოფიერად გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში მუშაობის პერიოდში, რომელსაც მეთაურობს უკვდავი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობი, ქვეყნად მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის უდრეკი მებრძოლი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

როცა დღეს მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვს ვეთხოვებით, ნათლად გვესმის, რომ მისი საუკეთესო ხსოვნა იქნება ჩვენი თავდადებული შრომა სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, კომუნიზმის დიადი საქმის განხორციელებისათვის, რომელსაც მან მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შეალია.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მიხეილ ანდრიას ძევ!

მიტინგი დამთავრდა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები ტრიბუნიდან ჩამოდიან, მიდიან კუბოსთან. პროცესია კრემლის კედელთან მიდის.

განსვენებულის კუბოს საფლავში უშვებენ. ქუხს საარტილერიო სალუტის ზალპი. ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები კვლავ ადიან მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

უკანასკნელად მიაგეს რა მხედრული პატივი პარტიის ერთგულ შვილს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა კომუნისტური მშენებლობის საქმეს, მავზოლეუმის წინ მტკიცე ნაბიჯით ჩაიარეს ჯარის ქვედანაყოფებმა.

საბჭოთა ხალხში მარად დარჩება მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვის — კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ნათელი ხსოვნა. (საქდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ მრავალშვილიანი დედის ე. ა. გაჯიევასათვის „გმირი დედის" წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს „გმირი დედის" წოდება და გადაეცეს „გმირი დედის" ორდენი ათი შვილის მშობელ და აღმზრდელ დედას, საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოს მცხოვრებს ეთარ ალიხან ყზი გაჯიევას — დიასახლისს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი.
1982 წლის 18 იანვარი.

საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების პლენუმი

გაიმართა ბუნების დაცვის რესპუბლიკური საზოგადოების პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

ბუნების დაცვის რესპუბლიკური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კაჭარავა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის განყოფილების გამგე გ. მამაცაშვილი. (საქინფორმი).

„საქართველოს კომუნისტი" № 1

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის" პირველი ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება: „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, ყველა მშრომელს".

ამავე ნომერში დაბეჭდილია მოწინავე — დიდი საბრძოლო პროგრამა.

ანშლაგით „სკკპ XXVI ყრილობა: განვითარებული სოციალიზმის საკითხები" გამოქვეყნებულია წერილები: ვ. კუპრავას — ლენინური მეთოდოლოგიის ერთი ნიშნის შესახებ; ს. შარიქაძის — სოციალური ერთგვაროვნობის მიღწევების გზები.

რუბრიკით „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!" წაიკითხავთ რ. კრიჟინაშვილისა და შ. ვეშაპიძის წერილს — საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს, გვიკარნახებს, გვავალებს.

განყოფილებაში „ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის თეორია და პრაქტიკა" დაბეჭდილია: სარედაქციო წერილი — შინაპარტიული დემოკრატიის ნიშნით; კ. ბოგოლიუბოვის სტატია — საერთო-პარტიული საქმის მნიშვნელოვანი, განუყოფელი ნაწილი.

ანშლაგით „საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" გამოქვეყნებულია რ. გრძელიძის — ეროვნული ურთიერთობის განვითარება სსრ კავშირში.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ს. ს. რუხაძე დანიშნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

(დასასრული)

შესვენების შემდეგ საანგარიშო მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. მ. გავაშელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ლ. ჯ. ანჯაფარიძე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი გ. ბ. ქაშაკაშვილი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის, საერთაშორისო დიდოსტატი ნ. გ. ალექსანდრია, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი კ. კ. გარდაფხაძე, ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ა. პეტრიაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. შ. ციციშვილი, ტყვარჩელის ლაკობას სახელობის შახტის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. გ. კვიწინია, რესპუბლიკის პროფკავშირთა კურორტების მართვის საბჭოს თავმჯდომარე ნ. ბ. შარაშენიძე, „თბილისგვირაბმშენის" გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ვ. ლუბავსკი.

ყრილობაზე გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. პ. უშაკოვი.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. ი. მოსაშვილმა.

ყრილობამ დამაკმაყოფილებლად ცნო საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა.

ერთხმად დაამტკიცეს სარევიზიო კომისიის ანგარიში.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია საქართველოს პროფსაბჭოს საანგარიშო მოხსენების გამო.

აირჩიეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობაზე წარსაგზავნი დელეგატები.

ყრილობის დელეგატებმა უდიდესი აღმავლობით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

ამით საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. რონტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. პ. უშაკოვი ეწვიენ სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკურ კაბინეტს, გაეცნენ შრომითი მეტოქეობის მოწინავე გამოცდილების გავრცელებისა და პროპაგანდის ამ ცენტრის მუშაობას.

ისინი იყვნენ აგრეთვე საქართველოს პროფკავშირთა ისტორიის მუზეუმში, გაეცნენ იმ სახელოვანი გზის ამსახველ ექსპონატებს, რომელიც გამოიარა მშრომელთა ყველაზე მასობრივმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, დაათვალიერეს თვითმოქმედი მხატვრებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა. (საქინფორმი).

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

29 იანვარს გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პირველი პლენუმი.

პლენუმმა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩია **თ. ი. მოსაშვილი.**

რესპუბლიკის პროფსაბჭოს მდივნებად არჩეული არიან ზ. ა. კვაჭაძე, ზ. ა. ლაბახუა, ი. გ. ხაზარაძე, ლ. ხ. ხარბედია. პროფსაბჭოს მდივნად საზოგადოებრივ საწყისებზე არჩეულია თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. დ. გელაშვილი.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრებად პლენუმმა აირჩია ვ. ვ. ბოროდავკა, ა. დ. გელაშვილი, ა. ი. გობიანიძე, ე. კ. გოგიაშვილი, დ. მ. იოსელიანი, ვ. ვ. კავსაძე, ზ. ა. კვაჭაძე, ზ. ა. ლაბახუა, ნ. ა. ლაკია, თ. ი. მოსაშვილი, ზ. გ. სარალიძე, ნ. ბ. შარაშენიძე, გ. დ. ჩაჩია, ა. გ. ჩემბერჯიანი, ი. გ. ხაზარაძე, ლ. ხ. ხარბედია, მ. ი. ხაჩიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ტ. ვ. რონტიაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. პ. უშაკოვი.

• •

საქართველოს პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის სხდომაზე ამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს შ. ლ. სულამანიძე. (საქინფორმი).

საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობაზე არჩეული

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წევრები

ალექსანდრია ნ. გ.
არჩვაძე მ. კ.
ახვერდოვა ვ. ე.
ბახტაძე გ. ი.
ბეწელური ც. ე.
ბიბილაშვილი მ. ა.
ბიგვავა ქ. ტ.
ბოკუჩავა ვ. გ.
ბოროდავკა ვ. ვ.
ბუაძე მ. გ.
ბუთხუზი ნ. კ.
ბურდული ი. ე.
ბუჭგულაშვილი ბ. ა.
გავაშელი ნ. მ.
გასანოვა ს. მ.
გარდაფხაძე კ. კ.
გელაშვილი გ. თ.
გელაშვილი ა. დ.
გვერდწითელი ი. გ.
გობიანიძე ა. ი.
გობოზოვა მ. ხ.
გოგიაშვილი ე. კ.
გოგელიძე უ. გ.
გოგოძე ვ. კ.
გოთუა თ. პ.
გოძიაშვილი დ. ვ.
გრიგოლია ნ. პ.
გუგავა ჯ. ვ.
გუგუშვილი ე. ნ.
გურგენიძე ნ. ვ.
გურული კ. კ.
ელიოსიძე გ. ე.
ემნაძე ვ. რ.
ვადაჭკორია ვ. ი.
ვადოვი ი. ე.
ვარძეული მ. ო.
ვახაძე ნ. შ.
ვაშაძე ნ. გ.
ვაშაკიძე თ. ი.
ვაშაკიძე ვ. ა.
ვოუბა ა. პ.
ზასოხიშვილი ი. ა.
თაქთაქიშვილი ო. ვ.
თალაკვაძე ც. ვ.
ილურიძე ნ. ი.
იმერლიშვილი ვ. გ.
იოსელიანი დ. მ.
იანკოვსკი დ. მ.
ირემაშვილი ლ. ვ.
ირიწიანი ა. შ.
კავაძე ვ. ვ.
კაკაბაძე ნ. ვ.
კაკაშვილი ი. დ.
კალანდაძე ვ. შ.
კარგარეთელი კ. ი.
კეთილაძე ა. ე.
კვაჭაძე ზ. ა.
კვიწინია ვ. გ.
კილაძე კ. დ.
კოპლატაძე ა. ი.
კუტივაძე კ. ი.
ლაბახუა ზ. ა.
ლაკია ნ. ა.
ლანდია ნ. ა.
ლომიძე ა. ა.
მაისურაძე ა. შ.
მამულაშვილი კ. ი.
მინდელი გ. ვ.
მოზგოვაია ა. ი.
მოსაშვილი თ. ი.
მსხვილაძე ე. ნ.
ნადირიანი ა. ა.
ნიკიტენკო ს. ვ.
ოქროპირიძე შ. მ.
პერტენავა დ. ა.
პეტრიაშვილი ნ. ა.
ჟვანია ნ. ა.
ჟიდკო ვ. ა.
რედიუხინი ნ. ს.
რიგვავა ს. ტ.
რიმნისხთაველი გ. ი.
რუხაძე მ. ვ.
სანაკოევი უ. გ.
სარალიძე ზ. გ.
სვანიძე ლ. ი.
სვანიშვილი ნ. ი.
სოგოლევი ვ. ა.
ტვილდიანი კ. ნ.
უმანკოშვილი გ. გ.
ურმაშვილი ნ. თ.
ურუშაძე მ. ა.
ფილიანი ე. დ.
ფოცხიშვილი მ. თ.
ფოფხაძე ნ. ა.
ქაშაკაშვილი გ. ბ.
ქრისტესიაშვილი კ. ი.
შავიშვილი კ. ნ.
შარაშენიძე ნ. ბ.
შარტავა შ. ე.
შაქარაშვილი რ. ვ.
შევარდნაძე ე. ა.
შოშიაშვილი თ. შ.
ჩემბერჯიანი ა. გ.
ჩიკვილაძე პ. ა.
ჩიხლაძე რ. ნ.
ჩოხელი ა. ა.
ციბაძე გ. მ.
ცინცაძე ი. დ.
წივწივაძე გ. მ.
წეროძე კ. გ.
ჭანიძე გ. ი.
ჭანტურია ლ. ტ.
ჭაჭია გ. დ.
ჭელიძე ვ. ი.
ჭოლოკავა დ. თ.
ხაბეიშვილი ს. ე.
ხაზარაძე ი. გ.
ხარბედია ლ. ხ.
ხატიაშვილი ნ. ა.
ხაჩიძე მ. ი.
ხოშტარია ს. ს.
ჯაბაური ტ. გ.
ჯაბუა მ. ა.
ჯაფარიძე რ. ა.
ჯოხტაბერიძე გ. ა.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წევრობის კანდიდატები

აბულაძე ზ. დ.
ანჯაფარიძე ლ. ჯ.
ანთიძე ს. პ.
არტაზოვი ა. ა.
ამირანაშვილი ვ. ა.
ბოჭორიძე ი. ი.
ბაჩეჩილაძე შ. პ.
გელაშვილი ნ. ვ.
გიგაური ლ. ნ.
გორტლიშვილი ე. ზ.
დვალი ზ. გ.
დუმბაძე თ. ვ.
ვარდოსანიძე გ. ვ.
თარბა ი. კ.
იოსავა გ. კ.
იაკობიძე ა. დ.
კანდელაკი ნ. ა.
კიკნაძე გ. ვ.
კობახიძე გ. გ.
კოკალეიშვილი ნ. ი.
კოჩიევა ლ. ი.
ლაბჟანია ზ. კ.
ლობჟანიძე მ. ა.
ლოლიშვილი პ. რ.
მანველოვა ვ. ი.
მიქაბერიძე დ. ს.
მურუსიძე ლ. შ.
ორჯონიკიძე ს. ი.
პაჭკორია ჯ. ე.
პირიკაშვილი შ. ე.
პროდიაშვილი შ. გ.
პუენიჩნაია ლ. ნ.
სალიაშვილი დ. ნ.
სილაგაძე ლ. ს.
ტაბიძე ა. ა.
ფორჩხიძე გ. მ.
ღუღუნიშვილი შ. ვ.
შატბერაშვილი შ. გ.
შენგელია მ. შ.
შიოლაშვილი ნ. ა.
ჩიხლაძე ვ. ა.
ჭალაგანიძე ნ. გ.
ჯიოშვილი კ. ვ.

საქართველოს პროფკავშირის სარევიზიო კომისიის წევრები

ალავიძე პ. ი.
ბაღდატბა რ. ჯ.
დავიდოვი ა. ს.
გოგოლაშვილი ი. პ.
კანდელაკი ა. ვ.
ცაციტაძე ა. მ.
კერალეიშვილი რ. გ.
მაისურაძე თ. გ.
მანველიშვილი მ. გ.
მახარაშვილი თ. შ.
ნაჭყებია შ. შ.
პუდოვა ს. ი.
რაზმაძე ჯ. ს.
სობოლევა ა. ს.
სულამანიძე შ. ლ.
სურმავა მ. ვ.
სხულუხია ვ. გ.
ფარჯანაძე ა. ვ.
ცალუღელაშვილი ი. ვ.
წოწოლაშვილი ო. გ.
ხარაზიშვილი ს. გ.
ჯაში მ. ი.
ჯაფარიძე ა. ე.
ჯინჯიაშვილი დ. ი.
ჯმუხაძე ს. გ.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობის დელეგატები

აბდულაევა ტ. ი.
ალბუთაშვილი მ. გ.
ბლუაშვილი რ. ა.
ბაღდავაძე დ. ს.
ბუაძე მ. გ.
გელაშვილი ა. დ.
გელაშვილი გ. თ.
გობოზოვა მ. ხ.
ვარძეული მ. ო.
ვოუბა ა. პ.
თალაკვაძე ც. ვ.
თევზაძე რ. ნ.
ილურიძე კ. მ.
ინანიშვილი რ. კ.
ირიციანი ა. შ.
კაკაბაძე ნ. ვ.
კვაჭაძე ზ. ა.
კირვალიძე მ. ა.
კოლბინი გ. ვ.
კუტივაძე ნ. მ.
ლომიძე ო. ა.
მდივანი მ. ლ.
მენთეშაშვილი თ. ნ.
მესხი გ. დ.
მოსაშვილი თ. ი.
ნიჟარაძე ლ. გ.
ნოზაძე ა. შ.
ოქროპირიძე შ. მ.
ორაგველიძე რ. ტ.
ორჯონიკიძე ი. ნ.
პეტრიაშვილი ნ. ა.
რონტიაშვილი ტ. ვ.
რუხაძე მ. გ.
სანაკოევი უ. გ.
ურუშაძე მ. ა.
შარტავა შ. ე.
შევარდნაძე ე. ა.
ჩიხლაძე რ. ნ.
ციციშვილი ი. ნ.
ციცქიშვილი გ. პ.
ჭანტურია ლ. ტ.
ჭაჭია გ. დ.
ხაბეიშვილი ს. ე.
ხაკბა რ. ვ.
ხარაძე ე. კ.
ხარბედია ლ. ს.
ჯაფარიძე რ. ა.

ფაქტები მოვლენები

გვაწყობინებენ საქდესის და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები

29 იანვარი

● საბერძნეთი

შეთანხმება დაამტკიცეს

ათენი. საბერძნეთის პარლამენტმა დაამტკიცა შეთანხმება სსრ კავშირსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების შესახებ, რომელიც ათენში დაიდო 1980 წლის დეკემბერში. ამ ხელშეკრულების მიზანია ორმხრივი თანამშრომლობის განვითარება სამრეწველო საწარმოთა მშენებლობასა და მოდერნიზაციაში, საქონელბრუნვის გაფართოება ორ ქვეყანას შორის.

როგორც საბერძნეთის პოლიტიკურ და საქმიან წრეებს მიაჩნიათ, შეთანხმების რატიფიკაცია ახალ იმპულსს აძლევს საბერძნეთსა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებასა და გაღრმავებას.

● სუდან-ჩინეთი

პეკინი მფარველობს

ტრიპოლი. სუდანსა და ჩინეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმება, რომელიც ამ დღეებში დაიდო, მოწმობს, რომ პეკინი უშუალოდ მფარველობს ნიმეირის რეჟიმს, რომელიც ცდილობს ჩაახშოს ხალხის ფართო გამოსვლები, აღნიშნავს ლიბიის ჯანის საინფორმაციო სააგენტო. ჩინეთის გადაწყვეტილება იარაღი მიაწოდოს ხართუმის ხელისუფალთ, რომლებმაც სახელი გაიტეხეს საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში ანტიხალხური კურსითა და პროიმპერიალისტური პოლიტიკით, თვალსაჩინოდ უჩვენებს მსოფლიოს, ვის მხარეზეა პეკინი, აღნიშნავს სააგენტო.

როგორც ვიცით, არსებობს სუდანის არმიის შეიარაღების სპეციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სუდანის მჭიდრო თანამშრომლობას შეერთებულ შტატებთან და ჩინეთთან. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში მოაწერეს ხელი სუდან-ჩინეთის სამხედრო თანამშრომლობის ამ შეთანხმებას.

● ჰონდურასი

ახალი პრეზიდენტი

მანაგუა. ჰონდურასის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა რობერტო სუასო კორდოვამ — ლიბერალური პარტიის ლიდერმა, რომელმაც გაიმარჯვა შარშან ნოემბერში გამართულ არჩევნებში. იგი ჰონდურასის პირველი სამოქალაქო პრეზიდენტია ბოლო ათი წლის მანძილზე. მანამდე ეს პოსტი სამხედროებს ეკავათ.

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ახალმა პრეზიდენტმა ჯერ კიდევ თანამდებობის დაკავებამდე განაცხადა, რომ გააძლიერებს შეიარაღებულ ძალებს და განამტკიცებს ურთიერთობას სალვადორისა და გვატემალის სამხედრო-დიქტატორულ რეჟიმებთან.

საგარეო პოლიტიკის დარგში, აღნიშნავენ საინფორმაციო სააგენტოები, ახალი პრეზიდენტი შეერთებული შტატების მხრივ მხარდ ზეგავლენას დაექვემდებარება, რომელიც ცდილობს ჰონდურასი ნიკარაგუის წინააღმდეგ აგრესიის პლაცდარმად აქციოს. გამოიყენოს იგი ცენტრალური ამერიკის სხვა ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად.

● იტალია

გენერალი გაათავისუფლეს

რომი. როგორც ანსას სააგენტო იუწყება, ქალაქ პადუაში ტერორისტებთან მებრძოლი სპეცსამსახურის აგენტებმა გაათავისუფლეს ამერიკელი გენერალი ჯ. დოუზიერი. ჯ. დოუზიერი, რომელსაც ევროპის სამხრეთ ზონაში ნატოს სახმელეთო გაერთიანებული ჯარების შტაბის უფროსის მოადგილის პოსტი ეკავა, იტალიაში ტერორისტული ორგანიზაციის ექსტრემისტებმა მოიტაცეს შარშან 17 დეკემბერს.

ოპერაციის შედეგად დაპატიმრებულია ხუთი ტერორისტი.

● პერუ

კომპარტიის საგანგებო ყრილობა

ლიმა. აქ გაიხსნა პერუს კომუნისტური პარტიის მე-8 საგანგებო ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს 200-ზე მეტი დელეგატი. კომუნისტთა ფორუმს ესწრებიან პერუს მემარცხენე ძალების ერთიანობის კოალიციაში შემავალი პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დღის წესრიგის მთავარი საკითხია პარტიის გეზი პერუს ამჟამინდელი საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხორხე დელ პრადომ.

ამჟამინდელი ყრილობის საგანგებო ხასიათს, განაცხადა მან, განსაზღვრავს რთული საშინაო და მეტადრე — საერთაშორისო ვითარება. ომის მოტრფიალე ამერიკის ადმინისტრაცია რ. რეიგანის მეთაურობით ყველაფერს აკეთებს, რათა როგორმე ჩაშალოს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა და გააჩაღოს ახალი მსოფლიო ომი.

ლათინური ამერიკის კონტინენტზე, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, ამერიკის შეერთებული შტატების ულტრარეაქციული მთავრობის ამ ომის ტრფიალი და აგრესიულობას გამოხატავს ცდები, რადაც უნდა დაუქდეს დააბრკოლონ ახალი ცხოვრების მშენებლობა სოციალისტურ კუბაში, ნიკარაგუაში, გრენადაში.

სულ უფრო რეალური ხდება იმის საფრთხე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო ინტერვენციას მოაწყობს ქვეყნებში, აგრეთვე სალვადორში, რომლის გმირი ხალხი იარაღით ხელში იბრძვის უფლებისათვის — თავად განაგებდეს თავისი ქვეყნის ბედს.

ხ. დელ პრადომ პერუელი კომუნისტების სახელით განაცხადა, რომ მხარს უჭერს პოლონელ ხალხს, რომელიც თავდადებით იცავს სოციალიზმის მონაპოვრებს, ფუშავს იმპერიალისტურ გეგმებს, რომელთა მიზანია ძირი გამოუთხარონ სოციალისტურ წყობილებას პოლონეთში.

პოლონეთის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება

ვარშავა. აქ გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზედაც მიიღეს გადაწყვეტილება სურსათის, სათბობისა და ენერგიის საცალო ფასების შეცვლის შესახებ. აგრეთვე დამტკიცდა ფულადი კომპენსაციის შესაბამისი სისტემა. ფასების მომატების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევა 1 თებერვლიდან.

მთავრობის წარმომადგენელმა პრესის დარგში განაცხადა, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კვების პროდუქტების, სათბობისა და ელექტროენერგიის საცალო ფასების შეცვლის შესახებ მორიგი, ლოგიკური და აუცილებელი ნაბიჯია დარღვეული ეკონომიკური წონასწორობის აღდგენის გზაზე.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებული ფასების მომატება მოიცავს მოხმარებისა და მომსახურების საგნებს, რომლებსაც ძირითადი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ცხოვრების ღირებულების დონის განსაზღვრისათვის და რომელზედაც წესდება სახელმწიფო ფასები. ამიტომ მინისტრთა საბჭომ შემოიღო ფულადი კომპენსაციის ისეთი სისტემა, რომელიც უწინარეს ყოვლისა ვრცელდება ყველაზე მცირე შემოსავლიან ოჯახებზე.

ფოტოფაქტი

დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში 25-მა მილიონმა ამერიკელმა კარგად იცის, რა არის ხელმოკლეობა და სიღატაკე. ესენი უსახლკარო ადამიანები არიან.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან მოხუცები, ზანგები და სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები.

ვაშინგტონის ადმინისტრაციამ ფედერალური საფულე ფართოდ გაუხსნა პენტაგონსა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს და საიმედოდ დაუკეტა იმათ, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს.

ზემო სურათზე ერთ-ერთი იმათთაგანია ალბეჭდილი, რომლებიც იძულებული არიან ნიუ-იორკის ქუჩებში გამვლელ-გამომვლელთა ნაწყალობევით იარსებონ.

მხატვრის კომენტარი

ნატოს მესვეურები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მილიტარისტულ კურსს ადგანან, სულ უფრო მეტ თანხებს მოითხოვენ ომის მოსამზადებლად, რის გამოც წლითიწლობით მცირდება სოციალური ხარჯები (გაზეთებიდან).

ლორმუცელა
ნახატი ყოველკვირეულ „ჰორიცონტიდან" (გდრ).

ვენისა და ჟენევის მოლაპარაკებანი

ვენა. თვე-ნახევრის შემდეგ ვენის ჰოფბურგის სასახლეში გაიხსნა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების და შეიარაღების ორმხრივი შემცირების შესახებ მოლაპარაკების მორიგი, 26-ე რაუნდი.

ევროპის ცენტრში სამხედრო კონფრონტაციის საფრთხის შემცირების ამოცანის აქტუალობა და სიმწვავე განსაკუთრებით მატულობს ახლა, როცა კონტინენტზე „გართულდა" ვითარება დასავლეთის აგრესიული იმპერიალისტური წრეების მოქმედების შედეგად. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება გამალებული შეიარაღება. სწორედ ამიტომ არის, რომ სოციალისტური ქვეყნები თანამიმდევრულად და შეუპოვრად იღვწიან, რათა დაამკვიდრონ პოლიტიკური დაძაბულობის შენელება, ამასთანავე მიაღწიონ სამხედრო დაძაბულობის შენელებას. ამას დამაჯერებლად მოწმობდა პოლონეთის დელეგაციის მეთაურის დესპანი ს. პშიგოდსკის გამოსვლა.

პოლონეთის წარმომადგენელმა გააკრიტიკა დასავლეთის ქვეყნების არაკონსტრუქციული პოზიცია, რომლებიც სხვადასხვა, თითიდან გამოწოვილი საბაბით ცდილობენ თავი აარიდონ პასუხს სოციალისტური ქვეყნების წინადადებებზე და პირველი შეთანხმების ტექსტის მომზადებაზე.

ჟენევა. აქ გაიმართა ევროპაში ბირთვული შეიარაღების აკრძალვის შესახებ მოლაპარაკებაზე წარგზავნილი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციების პლენარული სხდომა.

● პორტუგალია

ეცნობიან საქართველოს ხელოვნებას

ლისაბონი. პორტუგალიის ქალაქ მონტიჟუში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხური — გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა. ათასობით დამთვალიერებელი ვია უკვე ქალაქის უდიდეს საგამოფენო დარბაზს, სადაც მოწყობილია ექსპოზიცია. მონტიჟუს მცხოვრებლებს შესაძლებლობა აქვთ ნახონ ულამაზესი ხალიჩები, ხეზე კვეთის ნიმუშები, ქარგულობა.

საქართველოს ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები იჩვენება აგრეთვე ... ში, ალმადსა და პორტუგალიის სხვა ქალაქებში.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

გაუფრთხილდეთ სახელმწიფო სახსრებს

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენში" სამმართველო აპარატის სრულყოფისა და გაიაფების შესახებ პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგებზე იმსჯელა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა და სათანადო რეკომენდაციები შეიმუშავა.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ „საქმთავარმონტაჟსპეცმშენში" (უფროსი გ. გამყრელიძე, პირველი მოადგილე ი. კაკაურიძე, საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი გ. ტერტერიანი, მთავარი ბუღალტერი გ. ხაზარაძე) სამმართველოს აპარატის სრულყოფისა და გაიაფების თაობაზე პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესრულების შემოწმებით დადგინდა, რომ გაწეული გარკვეული მუშაობის მიუხედავად კვლავ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს. სამმართველო აპარატი გაბერილია, მისი ხვედრითი წილი მუშაკთა საერთო რიცხვის 18,1 პროცენტს შეადგენს, და ეს მაშინ, როცა რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში იგი საშუალოდ 15,8 პროცენტია. გარდა ამისა, ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების, აგრეთვე მთავარი სპეციალისტების რაოდენობა შტატის მუშაკთა საერთო რაოდენობის 23,1 პროცენტს შეადგენს.

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენმა" ვერ შეასრულა სსრ კავშირის „მონტაჟსპეცმშენის" სამინისტროს 1979 წლის ბრძანება, რომელიც ეხებოდა წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერებისა და დაგეგმვის გაუმჯობესებას.

არ სრულდება პარტიისა და მთავრობის არაერთი მითითება სამმართველო აპარატის შესანახი სახსრების ყაირათიანი ხარჯვის შესახებ, რაც სახელმწიფოს მნიშვნელოვან ზარალს აყენებს. მაგალითად, 1980 წელსა და 1981 წლის 9 თვეში სამმართველო აპარატის შენახვის დამტკიცებულ ზღვრულ ასიგნებათა გადაჭარბებით 152,9 ათასი მანეთი დაიხარჯა. დიდი გადახარჯვა აღმოჩნდა „საქმექანმონტაჟის" ტრესტის მთავარი სამმართველოს აპარატში, „საქსანტექმონტაჟის" ტრესტის თბილისისა და რუსთავის სამონტაჟო სამმართველოებში, ქუთაისის „ფოლადკონსტრუქციის" სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში და სხვ.

სერიოზული ნაკლოვანებებია სამსახურებრივი სარგებლობის მსუბუქი ავტომანქანების შენახვის სახსრების ხარჯვაშიც. 1980 წელს და 1981 წლის 9 თვეში ამ მიზნებისათვის დამტკიცებული ლიმიტის გადამეტებით 84,2 ათასი მანეთი დაიხარჯა. ასეთი დამახინჯებანი აღმოჩნდა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოში, „საქსანტექმონტაჟის" რუსთავის სამონტაჟო სამმართველოს და ქუთაისის „ფოლადკონსტრუქციის" სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში.

გამოვლინდა აგრეთვე სამსახურებრივი მივლინებებისათვის სახსრების გადახარჯვის ცალკეული ფაქტები.

მთავარმა სამმართველომ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების გეგმები.

შემოწმების შედეგები გაეგზავნა „საქმთავარმონტაჟმშენის" მთავარი სამმართველოს უფროსს გ. გამყრელიძეს. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მისი ყურადღება გაამახვილა სამმართველო აპარატის სრულყოფასა და გაიაფებაში არსებულ ნაკლოვანებებზე. მასვე დაევალა განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი არსებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად, კონკრეტულ დამნაშავეთა დასასჯელად.

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" უფროსის პირველი მოადგილე ი. კაკაურიძე მკაცრად არის გაფრთხილებული, მთავარ ბუღალტერს გ. ხაზარაძეს, საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსს გ. ტერტერიანს და მთავარი მექანიკოსის განყოფილების უფროსს გ. ფულარიას გამოეცხადათ საყვედური.

სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით თბილისის სამონტაჟო სამმართველოს ყოფილ უფროსს, ამჟამად „საქტექმონტაჟის" ტრესტის მმართველს გ. ბოგიშვილს, „საქსანტექმონტაჟის" ტრესტის რუსთავის სამონტაჟო სამმართველოს უფროსს ნ. წეროძეს და ქუთაისის „ფოლადკონსტრუქციის" სამმართველოს უფროსს ნ. კვიტაშვილს, დაერიცხათ (თითოეულს) ერთი თვის თანამდებობრივი განაკვეთი: შესაბამისად 250, 220 და 200 მანეთი. „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს უფროსს გ. ღლონტს, რუსთავის „ფოლადკონსტრუქციის" სამმართველოს უფროსს ი. ბარბაქაძეს, „საქსანტექმონტაჟის" ტრესტის რუსთავის სამონტაჟო სამმართველოს მთავარ ბუღალტერს რ. კავრელაშვილს, „საქსანტექმონტაჟის" ტრესტის თბილისის სამონტაჟო სამმართველოს მთავარ ბუღალტერს ლ. ბერძენიშვილსა და ქუთაისის „ფოლადკონსტრუქციის" სამმართველოს მთავარ ბუღალტერს ს. ყერდაცის გამოეცხადათ სასტიკი საყვედური. „საქმთავარმონტაჟმშენის" რუსთავის ავტოტრანსპორტის სამმართველოს უფროსს გ. ფულარიას გამოეცხადა საყვედური. ცნობად იქნა მიღებული, რომ „საქმექანმონტაჟის" ტრესტის მმართველს ლ. ქოჩიაშვილს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დარღვევისათვის გამოცხადებული აქვს სასტიკი საყვედური.

ქმედითობის სათავე

აქტივი სწავლობს, ცოდნას იმაღლებს

კონტროლის ორგანოების მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ერკვევიან ისინი საკონტროლო საქმიანობის დეტალებში, რამდენად კომპეტენტურია შემოწმებები და შესწევთ თუ არა საპრობლემო საკითხების შერჩევის უნარი.

ზრუნვა კონტროლიორთა სწავლებისა და სრულყოფისათვის შემოწმებათა ეფექტიანობის ამაღლებასაც ნიშნავს. ამ მიმართულებით ბოლო ხანებში ბევრი რამ გაკეთდა ტყიბულში. კონტროლის საქალაქო კომიტეტმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების დახმარებით თვალსაჩინო მუშაობა გასწია კონტროლიორთა აქტივის სწავლებისა და მათი დაოსტატებისათვის.

პარტიულ ორგანიზაციებში, სახალხო კონტროლის ჯგუფების თათბირ-სემინარებზე, სახალხო კონტროლის კომიტეტის სხდომებზე სისტემატურად განიხილავდნენ კონტროლიორთა სკოლებისა და სემინარების მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს. აანალიზებდნენ წამოყენებულ წინადადებებს, შენიშვნებს.

მეცადინეობის შედეგებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით დაწესდა სწავლების ერთიანი დღე. ლექციების ჩასატარებლად გამოიყო კეთილმოწყობილი ოთახები, კონტროლიორთა სკოლების ხელმძღვანელობა დაევალათ სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფების თავმჯდომარეებს.

1980-1981 სასწავლო წელს ქალაქში შეიქმნა 108 სკოლა, რომლებიც 3.427 კონტროლიორს ანუ საერთო რაოდენობის 98,5 პროცენტს აერთიანებდა. კონტროლის საქალაქო კომიტეტში მოქმედებდა მეთაური ჯგუფების თავმჯდომარეთა და შტატგარეშე აქტივის სწავლების სემინარები. სკოლების პროპაგანდისტებად შერჩეული იყვნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

მეცადინეობათა მაღალ დონეზე, კონტროლიორთა დაინტერესებაზე მეტყველებს ის ფაქტები, რომ მთელი წლის მანძილზე არ ყოფილა მეცადინეობის ჩაშლის, ან გადატანის არც ერთი შემთხვევა, სრულყოფილად და საინტერესოდ მოეწყო 8 მეცადინეობა. მაღალ დონეზე ჩატარდა სახალხო მეთაური ჯგუფების თავმჯდომარეთა 6 და 16 დარგობრივი სემინარი.

ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის მეთოდკაბინეტმა და ჯგუფებთან შექმნილმა სწავლებისა და ინფორმაციის სექტორებმა. სწორედ მათი ინიციატივით და ხელმძღვანელობით ბიბლიოთეკებსა და კლუბებში მოეწყო სახალხო კონტროლის კუთხეები, შეიძინეს საჭირო ლიტერატურა, საწარმოებისა და ორგანიზაციების კედლის გაზეთებსა და რადიოგადაცემებში სისტემატურად ქვეყნდებოდა ლექციების გამართვის დრო და თემები. შედეგიანი გამოდგა პროპაგანდისტებისათვის მოწყობილი სემინარული მეცადინეობები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აზრთა გაზიარებას, გამოცდილების განზოგადებას. იმისათვის, რომ მეცადინეობას მეტი ეფექტი ჰქონოდა, მას ესწრებოდნენ სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის წევრები, შტატგარეშე განყოფილებათა გამგეები, ინსპექტორები.

კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე მუშაკების მეცადინეობათა შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციების ანალიზი საშუალებას გვაძლევდა გაგვეთვალისწინებინა სწავლების დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, გამოგვეტანა სწორი დასკვნები, განგვეხორციელებინა საჭირო ღონისძიებანი. მუშაობის ამგვარად მოწყობამ უზრუნველყო კონტროლიორთა სკოლებში მეცადინეობის ისეთი დონე, რომელიც შეესაბამებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნებს.

საინტერესოდ იმართებოდა მეცადინეობები საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის" ტყიბულის ლენინის, ორჯონიკიძის სახელობის შახტების, ელექტრომექანიკური სახელოსნოს, მიწისქვეშა ხანძრების ჩაქრობისა და პროფილაქტიკის სამმართველოს გელათის ქარხნის, საწირის, ორპირის, სოჩხეთის კოლმეურნეობების, ტყიბულის ჩაის ფაბრიკისა და სხვა სკოლებში, სადაც კონტროლიორები ღრმად ეუფლებოდნენ როგორც ეკონომიკურ, ასევე საკონტროლო მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ სკოლების მეცადინეობათა დონე, სადაც ლექციებს კითხულობდნენ პროპაგანდისტები მ. ფორჩხიძე, ა. გვიტაძე, გ. მარგველაშვილი, გ. პატარიძე და ც. ბენდუქიძე.

იბადება კითხვა, რა შედეგი მოგვცა განხორციელებულმა ღონისძიებებმა? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კონტროლიორთა სწავლების ასეთმა სისტემამ მკვეთრად აამაღლა კონტროლიორთა ბრძოლისუნარიანობა, ჯგუფების სამუშაო გეგმებში წინა პლანზე წამოსწია აქტუალური საკითხები, გაიზარდა შემოწმებათა რაოდენობა, ამაღლდა მათი ხარისხი. 1981 წლის პირველ ნახევარში კონტროლის მეთაურმა ჯგუფებმა მოაწყვეს 1.153 შემოწმება, რაც 20 პროცენტით მეტია 1980 წლის ამავე პერიოდთან შედარებით. ჯგუფების კრებებზე განხილული საკითხების რაოდენობა გაიზარდა 15 პროცენტით.

ახალი სასწავლო წელი სახალხო კონტროლიორთა სკოლებში შარშან ოქტომბერში დაიწყო. გავითვალისწინეთ წინა წლის დადებითი შედეგები და ყველა საფუძველი შევქმენით სწავლების ფორმებისა და ორგანიზაციის კიდევ უფრო დახვეწისა და სრულყოფისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ჩატარებული მეცადინეობის შედეგები დამაკმაყოფილებელია. ისინი მიეძღვნა კონტროლის ლენინური პრინციპებისა და სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ კანონის საკონტროლო საქმიანობის შესწავლის კონკრეტულ საკითხებს.

ტყიბულის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი მომავალშიც დიდ ყურადღებას დაუთმობს სახალხო კონტროლიორთა და შტატგარეშე აქტივის სწავლების საკითხებს, კონტროლიორთა დაოსტატებას.

ჟ. კუბლაშვილი,
ტყიბულის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

მასების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 175

საჯაროობა გვეხმარება

ადმინისტრაცია ჯგუფის წინადადებებს იზიარებს

ქარხანა „კასპელექტროაპარატის" სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვის, წარმოების რეზერვების გამოვლენისა და შრომის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად.

ქარხანაში ჩამორჩენილ უბნად ითვლებოდა ექსპერიმენტული სამქრო, არ სრულდებოდა გეგმები, მცირე იყო შრომის ნაყოფიერება, უხეშად ირღვეოდა შრომის დისციპლინა. აღნიშნული მდგომარეობით დაინტერესდა ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფი, რომელმაც სამქროს სახალხო კონტროლიორებთან ერთად გადაწყვიტა გაერკვია შექმნილი ვითარება, ჩამორჩენის მიზეზი. გამოირკვა, რომ სამქროს ხელმძღვანელების არაკომპეტენტურობა და უპრინციპობა საწარმოში ნაკლოვანებებისადმი შემრიგებლობისა და თვითდამშვიდების ატმოსფეროს ქმნიდა. ქარხნის ადმინისტრაციამ სწორი რეაგირება მოახდინა სახალხო კონტროლიორთა რეკომენდაციებზე, შეიცვალა სამქროს ხელმძღვანელობა, გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განხორციელდა ღონისძიებანი დისციპლინის განსამტკიცებლად. ამჟამად სამქროს კოლექტივი, რომელსაც ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი, კომუნისტი ვ. გოგოლაძე ხელმძღვანელობს, საწარმოო დავალებას სისტემატურად ასრულებს და მოწინავეთა რიგებში დგას.

კონტროლიორები აქტიურად მონაწილეობენ მოძრაობაში, ნედლეულისა და მასალების რაციონალური გამოყენებისათვის. ამ მხრივ საგულისხმოა საამწყობო სამქროში მოწყობილი გამტარებისა და სამაგრი დეტალების ხარჯვის შემოწმება, რის საფუძველზე ქარხნის ადმინისტრაციამ მკაცრად დასაჯა სამქროს ოსტატები და განახორციელა ღონისძიებანი სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. ამ საკითხისადმი კონტროლიორებს არ შეუნელებიათ ყურადღება, უკანასკნელ წელიწად-ნახევარში სამქრომ 20 ათასი გრძივი მეტრი გამტარი დაზოგა.

არის ფაქტები, როცა სახალხო კონტროლიორები თვითონ არიან საინტერესო წამოწყებათა ინიციატორები, რაციონალიზატორული წინადადებების ავტორები. მაგალითად, კონტროლიორების ზ. ბერიანიძისა და გ. მაჭარაშვილის ინიციატივით მიმდინარეობს საწარმოო ნარჩენების დახვება და მათი ხელმეორედ გამოყენება. კონტროლიორების წინადადებით ქარხანაში შეიქმნა დეფიციტური მასალების, ძვირადღირებული აპარატურის საწყობი, მოწესრიგდა მასალების აღრიცხვა და ანგარიშგების სისტემა.

ქარხნის კონტროლის ჯგუფი ნაკლოვანებათა და დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში მარჯვედ იყენებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ფორმებსა და საჯაროობის საშუალებებს. ჯგუფის წინადადებით ქარხნის მთავარმა ინჟინერმა გ. ნიპარიშვილმა მშრომელთა კრებაზე გააკეთა ინფორმაცია ქარხანაში უყაირათობისა და დაუდევრობის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ.

კონტროლიორის ჯგუფი აქტიურად იბრძვის ქარხნის ცალკეული სამსახურების ხელმძღვანელების საქმიანობაში არსებული ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ. შარშან ოქტომბერში ჯგუფმა იმსჯელა მუშებისათვის ხელფასის დაგვიანებით გაცემის ფაქტებზე. ქარხნის პარტბიურომ სამქროს ოსტატს ა. ალაპაშვილს, რომელიც სისტემატურად აგვიანებდა ბუღალტერიაში დოკუმენტების წარდგენას, გამოუცხადა საყვედური.

კასპის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა ამას წინათ განიხილა ქარხანა „კასპელექტროაპარატის" კონტროლის ჯგუფის მუშაობა და ძირითადად მოიწონა იგი. ამასთან აღინიშნა, რომ ჯგუფის მიერ მოწყობილ ზოგიერთ შემოწმებას აკლია ქმედითობა, ზოგჯერ კი კონტროლი დაგვიანებულია და ხდება მხოლოდ მომხდარი დარღვევების ფიქსაცია. ნაკლოვანებებისა და დარღვევების, მათი გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლაში საჭირო აქტიურობას არ იჩენს ყველა ჯგუფი და საგუშაგო.

ახლა ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ თითოეული სახალხო კონტროლიორის აქტიურობა, შემოწმების ქმედითობა, მივაღწიოთ მუშაობის ისეთ დონეს, რომელიც დღევანდელობის მოთხოვნებს შეესაბამება.

ა. ოთარაშვილი.

რკინიგზა — ყურადღების ცენტრში!

განა ამას მეურნე კაცი შეურიგდება?

ვაგონები ცდება, ტვირთი ღია ცის ქვეშ ყრია

სახალხო მეურნეობის მთავარი არტერიის — რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა ქუთაისის კონტროლიორთა ყურადღების ცენტრშია. აღსანიშნავია, რომ ქალაქის ტვირთბრუნვის ორ მესამედზე მეტი სწორედ ამ სახეობის ტრანსპორტზე მოდის.

ქუთაისის რკინიგზის სამივე სადგური გეგმებს ასრულებს, მაგრამ ზოგჯერ ამ საერთო კეთილდღეობის მიღმა საგეგმო დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტები იმალება. რკინიგზის ვაგონების მიუწოდებლობის მიზეზით ირღვევა ფაბრიკა-ქარხნებიდან ტვირთის დანიშნულებისამებრ გაგზავნა. შარშან 9 თვეში ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა 763,7 ათასი მანეთი ჯარიმა გადაუხადეს მომხმარებელ ორგანიზაციებს. ხშირია შემთხვევები, როცა დატვირთული ვაგონები თავის დროზე არ იცლება და სახელმწიფოს დიდი ზარალი მოსდის.

ქალაქის სახალხო კონტროლის კომიტეტმა არაერთხელ იმსჯელა სამრეწველო საწარმოებსა და მშენებლობებზე რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის რაციონალური გამოყენების საკითხზე. შარშან თებერვალში საქალაქო კომიტეტმა შეისწავლა და პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროზე განსახილველად შეიტანა. საკითხი „ქალაქის სახალხო მეურნეობაში რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის გამოყენებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ"; აპრილსა და ივნისში ვაგონების მოცდენების თაობაზე მსჯელობა ჰქონდათ ავტოქარხნის და ლენინის სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტებს, ხოლო სექტემბერში შევამოწმეთ, თუ როგორ სრულდებოდა ამ დარგში პარტიის საქალაქო კომიტეტის დადგენილება. 40 ორგანიზაციიდან, რომლებსაც ქუთაისი-2 სადგური ემსახურება, თვრამეტში არამწარმოებლური ხარჯები წინა წლის 9 თვესთან შედარებით შარშან 22,531 მანეთით შემცირდა.

ცალკეულ საწარმოებში თვალსაჩინო ნაბიჯებია გადადგმული მისასვლელი ლიანდაგების, ჩიხების კეთილმოწყობისათვის, გაუმჯობესდა რკინიგზის სადგურებიდან ტვირთის მიმღები ორგანიზაციებისათვის ინფორმაციების მიწოდება, სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტებში შემოღებულია ვაგონების დაცლა-დატვირთვის ხელმძღვანელობის შტაბები. ისეთ მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, როგორიც არის საავტომობილო და ელექტრომექანიკური ქარხნები, მე-4 სამშენებლო ტრესტი და სახლთმშენებელი კომბინატი, რკინიგზის საამქროებში შეიქმნა სახალხო კონტროლიორთა საგუშაგოები.

მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა შემოწმებებმა დაგვარწმუნა, რომ ტრანსპორტის მოცდენის აღკვეთის საქმეში სცოდავენ არა მარტო რკინიგზის მუშაკები, არამედ ტვირთის მიმღებნიც.

სამწუხაროდ, ზოგიერთი სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელებს სათანადო დასკვნები არ გამოაქვთ პარტიული და საბჭოთა ორგანოების მითითებებიდან, ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს ანდობენ ნაკლებად კომპეტენტურ მუშაკებს. ამის შედეგად 22 ორგანიზაციაში ნაცვლად შემცირებისა, ვაგონების მოცდენის რაოდენობა გადიდდა.

შარშან 10 თვეში მარტო ქუთაისი-2 სადგურის მომსახურებაში არსებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მისასვლელ ჩიხებში 7.368 ვაგონის ზენორმატიულმა მოცდენამ 59.362 საათი შეადგინა. ამის შედეგად რკინიგზას გადაუხადეს 96.429 მანეთი ჯარიმის სახით.

მოძრავი შემადგენლობის დიდი მოცდენებია ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში (დირექტორის მოადგილე — ბ. კევლიშვილი). თუ აქ 1981 წლის პირველ ნახევარში ვაგონების დაცლა-დატვირთვა ნორმალურად მიმდინარეობდა, მეორე ნახევრის პირველ სამ თვეში ნორმის გადამეტებით 1002 ვაგონი მოცდა, რისთვისაც ქარხანამ 12.898 მანეთი ჯარიმა გადაიხადა.

ცუდად იმუშავა მშენებლობის სამინისტროს რკინაბეტონის ნაკეთობათა № 2 ქარხანამ (დირექტორი — შ. ნუცუბიძე). სხვადასხვა საშენი მასალით დატვირთული 832 ვაგონი ნორმის გადამეტებით 3066 საათი იდგა, ჯარიმის თანხამ 6500 მანეთი შეადგინა. ამ მხრივ არც მინის ტარის ქარხანაშია ყველაფერი რიგზე.

ვაგონების დაცლა-დატვირთვა ორგანიზებული არ არის კომკავშირის სახელობის რეზინტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანაში (დირექტორი — შ. სანიკიძე). ფოლადის კონსტრუქციების სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში (უფროსი — ნ. კვიტაშვილი) ორჯერ გაიზარდა ვაგონების ზენორმატიული მოცდენები და ჯარიმამ 4.394 მანეთს მიაღწია.

მოთხოვნებს ვერ უპასუხებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამრეწველო რკინიგზა, რომელიც ძირითადად № 2 ბეტონის ქარხნისა და მე-4 სამშენებლო ტრესტის ობიექტებს ემსახურება. აქ მარტო გასული წლის აგვისტოში 96 ვაგონი 1.465 საათით მოაცდინეს და ჯარიმის სახით 2.768 მანეთი გადაიხადეს.

რკინიგზის სადგურებისა და საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოუქნელი მუშაობის შედეგად ხშირია სადგურებში სატვირთო ეზოდან ტვირთის გაუტანლობის შემთხვევები. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში (დირექტორის მოადგილე — შ. ნიორაძე). აქ ვერც ყოფილმა და ვერც ახლანდელმა დირექტორის მოადგილეებმა წესრიგი ვერ დაამყარეს, 350 ტონაზე მეტი სათადარიგო ნაწილები და ნახევარფაბრიკატები თვეობით ეყარა ქუთაისი-2 სადგურის ეზოში.

დიდძალი გაუტანელი ტვირთი გროვდება ქუთაისი-2 სადგურის ეზოში (სადგურის უფროსი — ნ. ქუთათელაძე). გარდა ქალაქის ორგანიზაციების ტვირთისა, აქ თავს იყრის ქუთაისის ირგვლივ მდებარე მთიანი რაიონების სახელზე შემოსული ტვირთი. დღემდე ვერ შეძლეს ლენტეხის რაიონის განათლების განყოფილების მუშაკებმა მათ სახელზე შემოსული 250 ტონა ქვანახშირის გატანა. არც ონის ზოგიერთი ორგანიზაცია იწუხებს თავს ტვირთის თავის დროზე გატანისათვის.

ისიც აღსანიშნავია, რომ № 2 და № 2653 ავტოსატრანსპორტო საწარმოები (უფროსები — გ. ქუთათელაძე, ა. ჭურციკიძე) ზოგჯერ რკინიგზის სადგურებს დაგვიანებით ან წარმოდგენილი განაცხადების დაუცველად აწვდიან ავტოტრანსპორტს. შეიმჩნევა აგრეთვე, რომ ზოგჯერ თვით სადგურების მუშაკები წინასწარ არ გადასცემენ ინფორმაციას ტვირთის გატანის შესახებ, რის შედეგად გაგზავნილი ტვირთი უკან ბრუნდება მატერიალური პასუხისმგებელი მუშაკების ადგილზე არყოფნის გამო.

საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოძრავი შემადგენლობის დაცლა-დატვირთვას ისიც უშლის ხელს, რომ წესრიგი არ არის დამყარებული მისასვლელ გზებზე, ჩიხებში და დასაცლელ ადგილებზე. ჩიხების მქონე 25 ორგანიზაციიდან ცამეტში წესრიგში არ იყო საისრო მოწყობილობა.

ქუთაის-2 სადგურის ეზო კეთილმოუწყობელია, ერთმანეთშია არეული სხვადასხვა ორგანიზაციის ტვირთი, ეზოში ორმოებია, რაც აფერხებს კონტეინერებით დატვირთული ავტომობილების მოძრაობას. ძალზე სუსტია ტექნიკური აღჭურვილობა, ხშირად მწყობრიდან გამოდის ამწე მექანიზმები.

ქუთაის-2 სადგურის საკონტეინერო ეზო (ხელმძღვანელი — ა. გაბუნია) საკმარის ღონისძიებებს არ ახორციელებს ადრესატისათვის მიღებული ტვირთის დროული ჩაბარებისათვის. თბილისის კონცენტრატის ქარხნიდან გამოგზავნილი მალფუჭებადი პროდუქტით დატვირთული კონტეინერის გადაგზავნა ვაჭრობის სამმართველოსათვის მხოლოდ 24 დღის შემდეგ შეძლეს, რის გამოც პროდუქციის ნახევარზე მეტი ჩამოსაწერი გახდა.

არც ტვირთის მიმღები ორგანიზაციები ზრუნავენ მათს სახელზე შემოსული ტვირთის თავის დროზე გატანისათვის. „საქსანტექმონტაჟის" ქუთაისის სამონტაჟო უბნის სახელზე შემოსული 2 ცალი ორტონიანი კონტეინერი 5-დან 25 სექტემბრამდე ქუთაისი-2 სადგურის საკონტეინერო ეზოში იდგა.

მცირე მოცულობისაა რკინიგზის სადგურებში სასაწყობო ნაგებობანი და სატვირთო ეზოების ფართობი, რის გამოც შემოსული ტვირთის დაცლა შეუძლებელი ხდება.

აღნიშნული საკითხი კარგად არის ცნობილი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და რკინიგზის სამტრედიის განყოფილებისათვის, მაგრამ ამას რეაგირება არ მოჰყოლია. ქუთაისის რკინიგზის სადგურებს მეტი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდებათ.

ლ. ფანჩულიძე,
ქუთაისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა

გამოცდილება

ბარაქიანი შემოდგომა იყო ქართლში, გორის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობდა მოსავლის აღება-დაბინავება.

წლის ამ დროს რა ევალებოდათ სახალხო კონტროლიორებს? მუყაითი გარჯა, ზრუნვა მოსავლის უდანაკარგოდ აღება-დაბინავებისათვის და კიდევ — ფხიზელი თვალი! მათ მუდამ უნდა ამხილონ უსაქმურები, თვალყური ადევნონ იმასაც, ვინმე ხელმრუდედ არ დაიტაცოს სახალხო დოვლათი, მოსავალსაც უდარაჯონ და თვითონაც სამაგალითოდ იშრომონ.

ერთ დღეს კარალეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში ხილის კრეფა გვიანობამდე გაგრძელდა. მზე რომ ჩავიდა, მხოლოდ მაშინ გამოვიდნენ მუშები ბაღებიდან და შინისაკენ მიიჩქაროდნენ, სახალხო კონტროლიორებმა კი კანტორას მიაშურეს, სადაც გაწეულ მუშაობაზე [illegible] თათბირი უნდა გამართულიყო. სხდომაზე ითქვა, რომ ამ დღეს მეურნეობის სატრანსპორტო სამსახურმა თავი ვერ გაართვა სამუშაოს, მანქანები არ ჰყოფნიდათ, რის შედეგადაც № 3 აგროუბნის ბაღებიდან ათობით ყუთი ხილი გამოსაზიდი დარჩა.

ამ ცნობამ კონტროლიორები შეაფიქრიანა, ამაღამ უნდა ვიმორიგეოთ, ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება. იმ ღამეს მართლაც ამხილეს ორი „დაუპატიჟებელი სტუმარი", რომელთაც მეურნეობის ბაღიდან 370 კილოგრამი ხილის დატაცება განეზრახათ.

აი როგორია აქ მშრომელთა პირადი პასუხისმგებლობა. თუ სახალხო კონტროლიორობა იკისრე, პასუხისმგებლობაც მეტი უნდა გქონდეს და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაც კონკრეტული უნდა გახადო, კონკრეტულობა კი ვერ იტანს ფორმალიზმსა და ბიუროკრატიზმს.

ნათქვამია, ცოდვა გამხელილი სჯობსო: არცთუ შორეულ წარსულში რაიონის სახალხო კონტროლის ორგანოებისათვის ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღი ისევ ფორმალიზმი იყო. კონტროლიორები კარგავდნენ საბრძოლო თვისებებს, არ იგრძნობოდა პრინციპულობა, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, საჯაროობა.

ამას წინათ სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა შეისწავლა, თუ როგორ წარმართავენ მუშაობას წერილების განხილვასა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციაში საკოლმეურნეობათაშორისო მებოსტნეობის სასათბურე კომბინატი და „საქსასოფლტექნიკის" რაიონული გაერთიანების № 9 ავტოსატრანსპორტო საწარმო.

აქ თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, ჰქონდათ წერილობითი და ზეპირი განცხადებების აღრიცხვის ჟურნალები, თვალსაჩინო ადგილზე გამოეკრათ მშრომელთა მიღების დღეებისა და საათების აღმნიშვნელი ფირნიშები. მაგრამ სინამდვილეში ამ მოჩვენებითი წესრიგის მიღმა იმალებოდა მრავალი უწესრიგობა. მშრომელთა წერილებისა და განცხადებების აღრიცხვის ჟურნალები მეტწილად შეუვსებელი იყო, ხოლო „საქსასოფლტექნიკის" რაიონული გაერთიანების № 9 ავტოსატრანსპორტო საწარმოში მიმდინარე წელს ერთი მშრომელიც კი არ ყოფილა მიღებაზე.

აი კიდევ ერთი ფაქტი, რომელსაც მარტო ფორმალობას ვერ უწოდებ, იგი უფრო თვალის ახვევას, სიყალბეს წარმოადგენს. შინდისის საბჭოთა მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ დ. თათრიშვილმა, რომელმაც საპენსიო ასაკს მიაღწია, ორჯერ შეიცვალა ნომენკლატურული თანამდებობა დიდი ოდენობით პენსიის დანიშვნის მიზნით. პენსიაზე გასვლის წინ დ. თათრიშვილი მოულოდნელად მეურნეობის ინჟინერ-მელიორატორი გახდა და ხელფასი 215 მანეთამდე გაეზარდა. პენსიის დანიშვნის პერიოდში დ. თათრიშვილმა სხვა სიყალბეც ჩაიდინა, სახელმწიფოსაგან მიიღო ის, რაც არ ეკუთვნოდა და თავის პირვანდელ თანამდებობას — მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარეობას დაუბრუნდა.

ფაქტი გამოაშკარავდა, ამაში უპირველესად თავიანთი სიტყვა მეურნეობის სახალხო კონტროლიორებმა თქვეს.

ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა შემთხვევით ხასიათს არ უნდა ატარებდეს. იგი მიზანსწრაფულობას, საქმეში ღრმად ჩახედვას, შესრულების მუდმივ კონტროლს მოითხოვს. ამ რამდენიმე ხნის წინათ კომიტეტმა იმსჯელა ქვეშის სანერგე საბჭოთა მეურნეობის მთავარი ბუღალტრის ი. გამდლიშვილის შესახებ. სამსახურებრივი მოვალეობისადმი მისი დამოკიდებულება არ იყო მოკლებული ბიუროკრატიზმის ელემენტებს. მიუხედავად იმისა, რომ საბუღალტრო აღრიცხვის საქმიანობაში დაშვებული სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები მეურნეობის მთავარი ბუღალტრის თანამდებობიდან გადაყენებას იმსახურებდა, კომიტეტის წევრები ენდნენ ი. გამდლიშვილის დაპირებას, რომ იგი მომავალში გარდაქმნიდა მუშაობას და სასტიკი საყვედური აქმარეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დავუბრუნდით ამ საკითხს, მთავარი ბუღალტრის საქმიანობაში კვლავ გამოაშკარავდა თვალის ახვევის ფაქტები, იგი თანამდებობიდან გადააყენეს.

უკანასკნელ ხანებში კომიტეტის მიერ განხილული 46 საკითხიდან 19 საშემსრულებლო დისციპლინის მდგომარეობას, ბიუროკრატიზმს, საქმის გაჭიანურებისა და წამატებების ფაქტებს ეხებოდა. კომიტეტის მიერ ჩატარებული შემოწმებებით გამოვლენილმა გაფლანგვა-დატაცების თანხამ 50.500 მანეთი შეადგინა, ხოლო წამატებებისამ — 35.000 მანეთი. დასჯილია მრავალი თანამდებობის პირი, ათი ხელმძღვანელი გადაყენებულია თანამდებობიდან, 33 კაცს დაერიცხა 6.038 მანეთი.

ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას გორის რაიონის სახალხო კონტროლიორები წარმართავენ ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებთან, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, კომკავშირულ პროჟექტორებთან, ადმინისტრაციულ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტით, განხორციელებულ ღონისძიებათა საჯაროობის ფართოდ გამოყენებით.

მ. ნინოშვილი,
გორის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

კონტროლიორთა სემინარი

ხაშური (საკ. კორ.). გაიმართა რაიონის სახალხო კონტროლიორთა თეორიული სემინარი, რომელიც სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობისა და სწავლების აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა.

სემინარზე მოხსენებები თემაზე „კონტროლის ლენინური პრინციპები", „კანონი სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ", „ჯგუფები და საგუშაგოები სახალხო კონტროლის ორგანოთა სისტემაში და მათი მუშაობის ორგანიზაცია" წაიკითხეს პარტიის ხაშურის რაიკომის მეორე მდივანმა ე. გილოშვილმა, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მჭედლიძემ, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის ინსპექტორმა ზ. ჩუბინიძემ.

მომხსენებლებმა პასუხი გასცეს მსმენელთა შეკითხვებს, მსმენელებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან საავტომობილო ქარხანაში დაახლოებით 1160 სახალხო კონტროლიორია გაერთიანებული 40 მეთაურ ჯგუფსა და 89 საგუშაგოში.

ქუთაისელი ავტომშენებლები 86 კვარტალია ზედიზედ ჯილდოვდებიან სსრ კავშირის საავტომობილო მშენებლობის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშით. მათ სამშობლოს უპატაკეს წლის დავალების ვადამდე შესრულება და ქვეყნის მეურნეობებში გაგზავნეს ზეგეგმით გამოშვებული „კაზ-608 ვ" სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ასი ავტომანქანა. ამ წარმატებაში სახალხო კონტროლიორებსაც მიუძღვით წვლილი.

ამჟამად ავტოქარხნელები მუშაობენ საწარმოს რეკონსტრუქცია-გაფართოებისათვის.

სურათზე: (მარცხნიდან): ინჟინერ-კონსტრუქტორები, ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის სამმართველოს სახალხო კონტროლიორი გურამ სახტარაძე, მთავარი კონსტრუქტორის სამმართველოს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე თემურ ფერაძე და ტექნოლოგიური ბიუროს უფროსი, ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი გიური ლვინაძე.

ბ. ნახუცრიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს" უპასუხებს

წყალტუბოს სახალხო კონტროლის კომიტეტი

ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდში „ხალხის ფხიზელი თვალი" დაიბეჭდა წერილი „როცა გული არ გულობს". იგი ვარციხჰესის მშენებლობის მუშათა მომარაგების განყოფილების ვაჭრობისა და საზკვების ობიექტების ნაკლოვანებებს ეხებოდა. ამის გამო წყალტუბოს სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი გვწერს:

გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში მოყვანილი ფაქტები განიხილა სახალხო კონტროლის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტმა, რომელმაც გამოვლენილი დარღვევებისათვის ვარციხჰესის მშენებლობის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი ზ. კოზმავიძე გადააყენა დაკავებული თანამდებობიდან. ამასთან განხორციელებულია სხვა ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მუშათა მომარაგების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, საერთო მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

საგამოფენო დარბაზებში

თბილისელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის შოთა ხოლუაშვილის ნამუშევრების პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც ამას წინათ მხატვრის სახლში გაიხსნა.

ტილოებს, რომლებიც საბჭოთა აჭარის დღევანდელობას, მის სახელოვან მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას და ინტელიგენციას ეძღვნება, ექსპოზიციაში ცენტრალური ადგილი უკავია. აჭარელი მხატვრის ცხოველმყოფელმა ხელოვნებამ, რომელსაც არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთშიც იცნობენ, დამთვალიერებელთა კარგი შეფასება დაიმსახურა — შთაბეჭდილებათა წიგნში მრავალი სასიამოვნო ჩანაწერი გაჩნდა.

სურათებზე: შ. ხოლუაშვილის ნამუშევარი: „იდილია"; გამოფენის დარბაზში.

ბ. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საჭადრაკო მიმოხილვა

წარმატება გვახარებს და გვავალდებულებს

გასული შემოდგომა მდიდარი იყო საჭადრაკო ამბებით, რომელთაგან მთავარი გახლდათ მატჩი მსოფლიო პირველობაზე მერანოში და მ. ჩიბურდანიძისა და ნ. ალექსანდრიას ორთაბრძოლა ბორჯომსა და თბილისში.

პირველზე უკვე ბევრი რამ ითქვა და დაიწერა, ამიტომ ამჯერად მეორეს შევეხებით.

გამოჩენილი საბჭოთა მოჭადრაკე ქალების მაია ჩიბურდანიძისა და ნანა ალექსანდრიას მატჩი მსოფლიო პირველობაზე, რომელიც თითქმის ორ თვეს აღელვებდა მილიონობით ჭადრაკის მოყვარულს, ანგარიშით 8:8 დამთავრდა და შეჯიბრების პირობების შესაბამისად მაია ჩიბურდანიძემ მსოფლიო ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა მომდევნო სამი წლით.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ შეჯიბრებაში ერთმანეთს შეხვდნენ თანაბარი ძალის მეტოქენი, რომლებმაც, საერთოდ, თამაშის ძალზე მაღალი კლასი გამოავლინეს. მაგრამ, საბოლოო შედეგამდე ეს ორი მოჭადრაკე სხვადასხვა გზით მივიდა, სხვადასხვა შემოქმედებითი მიდგომა გამოიჩინა.

ნანა ალექსანდრია ჩინებულად მოემზადა მატჩისათვის დებიუტის თეორიის სფეროში. საკმარისია ითქვას, რომ, სულ ცოტა, თერთმეტ შეხვედრაში (16-დან) იგი უპირატესობას აღწევდა პარტიის დასაწყისში. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ნანა ალექსანდრიას ხელოვნება ინიციატივიან პოზიციებში ორიგინალური კომბინაციური შესაძლებლობების მიგნების მხრივ. ერთი სიტყვით, პრეტენდენტის გაბედულმა, საზრიანმა და თავისებურმა თამაშის მანერამ ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა.

ამასთანავე იგი ყოველთვის საკმაოდ ზუსტად ვერ იბრძოდა ისეთ პოზიციებში, რომლებიც ხანგრძლივ მანევრირებას მოითხოვს. გადაუწყვეტელი დარჩა აგრეთვე ეგრეთ წოდებული „მეხუთე საათი" — პარტიის იმ დასკვნითი ეტაპის პრობლემა, რომელსაც თან სდევს ხოლმე დროის დეფიციტი.

სადებიუტო მომზადებაში და შემტევი პოზიციების დროს თამაშში მეტოქის უპირატესობას მაია ჩიბურდანიძემ დაუპირისპირა დაცვის ხელოვნება, დახვეწილი ტექნიკა და, ასე ვთქვათ, უფრო მოქნილი და მრავალმხრივი ტაქტიკა შუა თამაშში, როცა ჯერ კიდევ გაურკვეველია პაიკების სტრუქტურა.

ორივე მოჭადრაკემ გვიჩვენა, რომ დახვეწილი სპორტული თვისებები აქვთ, კარგად უმკლავდებიან მოწინააღმდეგეს სუსტი პოზიციების დროს და ბოლომდე ბრძოლის უნარი შესწევთ. ერთი სიტყვით, ჭადრაკის სამყარომ ნახა საინტერესო, დაძაბული და შემოქმედებითად ძალზე შინაარსიანი ორთაბრძოლა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალებისა, რომლებიც თანასწორი და ღირსეული მეტოქენი აღმოჩნდნენ. ეჭვი არ არის, რომ ეს მატჩი მნიშვნელოვან კვალს დატოვებს საბჭოთა საჭადრაკო სკოლის განვითარებაში.

ამ ბოლო ხანს ხშირად წერენ „ქართულ ფენომენზე" ქალთა ჭადრაკში. მართლაც, საქართველოს წარმომადგენლები მტკიცედ ინარჩუნებენ მოწინავე პოზიციებს. წელს შვეიცარიაში გაიმართება ვაჟთა და ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადები. ქალთა გუნდში ოთხი მონაწილეა. როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში (რომელიც ოლიმპიადების მრავალგზის გამარჯვებულია) კვლავაც, ისევე როგორც 1980 წელს მალტაში, მ. ჩიბურდანიძე, ნ. ალექსანდრია, ნ. გაფრინდაშვილი და ნ. იოსელიანი გამოვლენ.

ალბათ, ძალზე ძნელია მივაგნოთ იმ მიზეზებს, რომლებმაც ასეთი ფენომენი შვეს. მინდა ყურადღება მივაპყრო, ჩემი აზრით, ფრიად არსებითს გარემოებას. 50-იანი და 60-იანი წლების შესაყარზე მოჭადრაკე ქალთა დაოსტატების პრობლემებზე ცხოველი ბჭობა იყო. ზოგიერთი არცთუ შორსმჭვრეტელი მწვრთნელი მაშინ ამტკიცებდა, საკითხის გადაწყვეტა ის არის, რომ კიდევ უფრო უნდა გავამარტივოთ, თავისებურად „გავაიოლოთ" მოჭადრაკე ქალთა სწავლების პროცესი. სხვა აზრს ადგნენ უფრო გამოცდილი პედაგოგები და, უწინარესად, ვახტანგ ქარსელაძე. მისი აზრით, უნდა შემუშავებულიყო წვრთნის ისეთი მეთოდიკა, რომელიც მოჭადრაკე ვაჟთა მომზადების მეთოდიკის მსგავსი იქნებოდა და მხედველობაში მიიღებდა არა მინიმალურ, არამედ გადიდებულ დატვირთვას.

მან საქმით დაამტკიცა, რომ ეს სწორი იყო. ვ. ქარსელაძის მოწაფეები იყვნენ ნ. გაფრინდაშვილი და ნ. ალექსანდრია. როგორც ჩანს, წვრთნის პროცესისადმი თვისებრივად ახალმა მიდგომამ, რომელიც დაასაბუთეს ვ. ქარსელაძემ და მისმა კოლეგამ და მეგობარმა, საქართველოს მეორე შესანიშნავმა მწვრთნელმა მ. შიშოვმა, და, რა თქმა უნდა, ნ. გაფრინდაშვილისა და ნ. ალექსანდრიას მაგალითმა, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული ქალთა ჭადრაკის განვითარებაში და აღნიშნული „ფენომენის" წარმოშობაში.

ახლა, სამწუხაროდ, ჩვენს შორის აღარ არიან ვ. ქარსელაძე და მ. შიშოვი. მათი შემოქმედებითი ტრადიციების განმტკიცება და განგრძობა აქტუალური და საჭირობოროტო ამოცანაა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ახალი მიღწევების გზაზე. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით კარგი იქნებოდა გამოცემულიყო წიგნები, რომლებიც განაზოგადებდნენ ვ. ქარსელაძისა და მ. შიშოვის პედაგოგიურ გამოცდილებას, მოწყობილიყო ჭადრაკის მწვრთნელთა კონფერენციები, რომლებიც მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლას მიეძღვნებოდა.

ჩემი აზრით, მაღალკვალიფიციურ მწვრთნელთა კადრების მომზადება დიდად მნიშვნელოვანი საქმეა საქართველოში ბავშვთა, ჭაბუკთა და ვაჟთა ჭადრაკის პროგრესისათვის. რა თქმა უნდა, რესპუბლიკაში ამ თვალსაზრისითაც კარგი ტრადიციები აქვთ. ომამდე მთელ საბჭოეთში გაითქვა სახელი პირველმა ქართველმა ოსტატმა ვ. გოგლიძემ, შემდეგ თბილისში გადადგა პირველი ნაბიჯები საჭადრაკო დაოსტატების გზაზე მომავალმა მსოფლიო ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა. ამჟამად თამაშის დახვეწილ კლასს გვიჩვენებს თამაზ გიორგაძე. მაგრამ მწვრთნელთა კადრების ნაკლებობა აფერხებს შემდგომ განვითარებას. ამ საკითხების გადაწყვეტაში დიდი როლი უნდა შეასრულოს საჭადრაკო სპეციალიზაციამ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში. ეტყობა, იმისათვის, რომ სპეციალიზაცია, როგორც იტყვიან ფეხზე დადგეს, საჭიროა რესპუბლიკის საჭადრაკო ორგანიზაციების უფრო აქტიური დახმარება.

1982 წელი ბარაქიანია საჭადრაკო შეჯიბრებებით. დაიწყება მსოფლიო პირველობაზე შესარჩევი შეჯიბრების ახალი ციკლი. კერძოდ, თბილისში, სექტემბერში გათვალისწინებულია ქალთა საზონათშორისო ტურნირის მოწყობა.

მინდა ქართველ მოჭადრაკეებს დიდი შემოქმედებითი და სპორტული წარმატებანი ვუსურვო მომავალ შეჯიბრებებში.

ნ. კროგიუსი,
სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ჭადრაკის სამმართველოს უფროსი, საერთაშორისო დიდოსტატი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

კურიერი

თბილისის საერთაშორისო...

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თერთმეტი ქვეყნის ფალავნები მონაწილეობენ.

ქართველი მოჭიდავეებისათვის ტურნირი თავისებური რეპეტიციაა სსრ კავშირის ჩემპიონატის წინ. წინასწარმა შეხვედრებმა ჭიდაობის მოყვარულებს მოუტანა წყენაც და სიხარულიც. თამამი ბრძოლით გაგვახარა უნივერსიადა — 81-ის გამარჯვებულმა, მსოფლიოს თასის მფლობელმა გიორგი მაკასარაშვილმა (74 კგ). მან პირველსავე ორთაბრძოლაში დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი მაქს კლაინშმიდტი. გამარჯვება იზეიმა ნიკო როსტიაშვილმაც, რომელიც ამავე წონით კატეგორიაში გამოდის. მან ბეჭებზე დასცა მონღოლი ლ. ეკიბაირი.

წიგნის თარო

„**ოქროს** ქალღმერთიდან ფიფას თასამდე" — ასე ეწოდება მიხეილ კაკაბაძის წიგნს, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ დასტამბა. ავტორი მოგვითხრობს ფეხბურთელთა ბოლო ოთხი მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ, რომლებსაც თავად დაესწრო. სტატისტიკურ, საცნობარო



ნაწილში კი ქვეყნდება თერთმეტივე მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი მასალები.

წიგნის პირველი ტირაჟი მკითხველებმა უკვე შეიძინეს. დაისტამბა მისი მეორე ტირაჟიც და ავტორის მიერ მართლაც საინტერესოდ მოთხრობილი ამბების გაცნობის შესაძლებლობა მიეცემათ იმათაც, ვინც ვერ მოასწრო ამ წიგნის ადრე შეძენა.

რედაქტორის მოადგილე
ლ. კიკნაძე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სახელმწიფო კომიტეტის მეცხოველეობის ფერმებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ელექტრომექანიზაციის სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი

ნოდარ ნიკოლოზის ძე ჯმუხაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის ახლად გახსნილი № 150 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1982 სასწავლო წლისათვის I კვარტალში.

სასწავლებელი ამზადებს შემდეგი პროფესიის სპეციალისტებს:

1. განათების, გამანათებელი, ძალოვანი ქსელის ელექტროდანადგარების ელექტრომემონტაჟე;
2. მექანიკურ სამუშაოთა ამწყობი ზეინკალი.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები სამუშაოდ განაწილდებიან პერსონალური საგზურით სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოში", თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში და სხვა ობიექტებზე შესაბამისი სპეციალობების მიხედვით.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე, 17-25 წლის ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 10 თვეა.

სწავლის პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას — თვეში 80 მანეთს და საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებულ თანხას საერთო წესით.

ის მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებელს წარჩინებით დაამთავრებენ, სარგებლობენ საშუალო სკოლის ოქროსმედალოსნის ან სპეციალური სასწავლებლის წარჩინებულ კურსდამთავრებულთა უფლებით. ხოლო იმ კურსდამთავრებულებს, რომელთაც ყველა საგანში აქვთ „ფრიადი" და „კარგი" შეფასება და წარმატებით ჩააბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით (გამოშვების 10 პროცენტამდე) უფლება აქვთ შევიდნენ დღის განყოფილებაზე უმაღლეს სასწავლებელში შესაბამის სპეციალობაზე, დანარჩენ კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ სწავლა განაგრძონ საღამოს ან დაუსწრებელ განყოფილებაზე.

ფრიადოსნები სწავლის პერიოდში ღებულობენ 25 პროცენტით გაზრდილ სტიპენდიას, ვაჟებს ეძლევათ საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის გადავადება 1 წლით.

სწავლის დრო ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად.

სწავლა დაიწყება 1 მარტს.

საბუთების მიღება იწარმოებს 28 თებერვლამდე, დილის 9 საათიდან 17 საათამდე, კვირა დღის გარდა.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე და დაურთონ შემდეგი საბუთები: საშუალო სკოლის ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); ავტობიოგრაფია; ექვსი ცალი ფოტოსურათი (3X4). პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა უნდა წარმოადგინონ პირადად.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, კამოს ქ. № 37. ტელეფონი — 95-60-78.

ქ. თბილისის № 43 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1982 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელი ამზადებს მამაკაცისა და ქალის ზედა ტანსაცმლის კვალიფიციურ მკერავებს.

სასწავლებელში მიიღებიან 17-დან 25 წლამდე ასაკის საშუალო განათლების მქონე ქალიშვილები. სწავლის პერიოდში მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია — 70 მანეთი, ფრიადოსნებს 25 პროცენტით უდიდდებათ სტიპენდია, გარდა ამისა, მოსწავლეებს მიეცემათ ფულადი ანაზღაურება 50 პროცენტის ოდენობით იმ სამუშაოსათვის, რომელსაც შეასრულებენ საწარმოო პრაქტიკაზე ყოფნისას. სწავლის დრო ჩაითვლება მუშაობის უწყვეტ სტაჟად.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

მოსწავლეებს, რომლებიც „ფრიადზე" დაამთავრებენ სასწავლებელს, მიეცემათ წარჩინების დიპლომი. „წარჩინების დიპლომით" სასწავლებლის კურსდამთავრებულნი უმაღლეს სასწავლებელში მოწყობისას სარგებლობენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ოქროს მედალოსნის უპირატესობით.

სასწავლებლის კურსდამთავრებულებს (გამოშვების 10 პროცენტი), რომლებსაც ყველა საგანში აქვთ „ფრიადი" და „კარგი" შეფასება და წარმატებით დაამთავრებენ საკვალიფიკაციო გამოცდას, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით უფლება ეძლევათ შევიდნენ უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილებაზე უშუალოდ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე, განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); დაბადების მოწმობა (დედანი); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 286); ოთხი ფოტოსურათი (ზომა 3X4).

სწავლების ვადა ერთი წელი- [illegible]

ჩვენი ცნობარი: განცხადება, რეკლამა, ინფორმაცია

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

1 თებერვალი

[illegible]

2 თებერვალი

[illegible]

3 თებერვალი

[illegible]

4 თებერვალი

[illegible]

5 თებერვალი

[illegible]

6 თებერვალი

[illegible]

7 თებერვალი

[illegible]



რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა

1 თებერვალი

[illegible]

2 თებერვალი

[illegible]

3 თებერვალი

[illegible]

4 თებერვალი

[illegible]

5 თებერვალი

[illegible]

6 თებერვალი

[illegible]

7 თებერვალი

[illegible]

ტელევიზია

30 იანვარი

[illegible] — სატელევიზიო პროგრამა, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — [illegible]

თეატრი

30 იანვარი

[illegible]